ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 13199/01
26/12/2019

13199-01-2-201912261154

შპს „იმგეს“
მის: *ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. N109*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 10 დეკემბრის №17885 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, შპს „იმგეს“ წყალში ხსნადი საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკოპინგის ანგარიში არის ზოგადი და არ მოიცავს კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, თქვენ მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი GPS კოორდინატებით ვერ ხდება ადგილის იდენტიფიცირება, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ტექნოლოგიური ციკლის შესახებ (შერევის პირობები);
- ინფორმაცია წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის დასაწყობების შესახებ, სასაწყობე მოედნის აღწერა;
- ინფორმაცია მზა პროდუქციის დასაწყობების და მისი ტერიტორიიდან გატანის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 22) მითითებულია, რომ წყალი საწარმოში გამოიყენება საწარმოო მიზნებისთვის (ღუმელებისა და ტრანსფორმატორების გაციებისთვის), შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია წარმოებაში გამოყენებული დანადგარების შესახებ (საპასპორტო მონაცემები);
- ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი სალექარის შესახებ (პარამეტრები, გაწმენდის ეფექტურობა);
- სკოპინგის ანგარიშში გადმოტანილია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნები და არ არის მოცემული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, მათი დროებითი დასაწყობების პირობები);
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 35) მითითებულია, რომ ემისიების ისეთი სტაციონალური წყაროების გამოყენების შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად მადნის დამსხვრევის ეტაპი და სხვა, შემუშავდება და სამინისტროს

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

შესათანხმებლად წარედგინება შესაბამისი ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს განმარტებას;

- ანგარიშში (გვ. 35) ნარჩენებთან დაკავშირებით მითითებულია, რომ გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდება პროცესში წარმოქმნილი წიდის ნარჩენების რაოდენობის და მათი მართვის საკითხები. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს ასევე დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას შპს „იმგეს“ მიერ ქ. ბათუმში წყალში ხსნადი საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადებაზე გასცეს სკოპინგის დასკვნა.

სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით იმსჯელებს მას შემდეგ, რაც შპს „იმგე“ კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს გადამუშავებული სკოპინგის დოკუმენტაციის წარმოდგენას, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე